საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს ცენტრსა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის 2016 წლის 20 ივლისს ხელმოწერილი სტანდარტული შეთანხმების წერილით გათვალისწინებული პროექტის - „საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სისტემების გაფართოება და პროფესიული განათლების მოდერნიზაცია“ - მე -5 კომპონენტის (1-2 დონის მოდულის პილოტირება პროფესიული ორიენტაციისთვის სოფლის მეურნეობის მოსამზადებელ კურსებში და სხვა სახელობო სფეროებში) **დარგობრივი ექსპერტის (კონდიტერიის), შერჩევის მიზნით.**

კონკურსი ცხადდება 14 თებერვლიდან და განცხადებების წარდგენის ბოლო ვადაა 2017 წლის 19 თებერვლის ჩათვლით.

კონკურსში მონაწილე კანდიდატმა წერილის სათაურის ველში აუცილებლად უნდა მიუთითოს ვაკანსიის დასახელება **„დარგობრივი ექსპერტი“,** წინააღმდეგ შემთხვევაში არ მოხდება განაცხადის განხილვა.

ადგილების რაოდენობა - 1;

დარგობრივი ექსპერტის თანამდებობის მიმართ დადგინდენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) დარგის შესაბამისი კომპეტენციების არსებობა;

ბ) პროფესიული პროგრამების / მოდულების შექმნის გამოცდილება;

გ) მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოებზე მუშაობის გამოცდილება;

დ) ქართულ ენაზე წერისა და მეტყველების კარგი უნარები.

დარგობრივი ექსპერტის (კონდიტერიის მიმართულებით) მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

ა) მოდულების შექმნა შერჩეული კომპეტენციებისათვის:

ბ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეთა საორიენტაციო და მოსამზადებელი კურსების ორგანიზებისათვის ადაპტირებული მოდულების შექმნა;

გ) მასწავლებელთა გზამკვლევების შექმნა და ინტეგრირება მოდულში;

დ) საორიენტაციო და მოსამზადებელი კურსის ორგანიზებისათვის პრაქტიკული რეკომენდაციების მომზადება თითოეულ სასწავლო შედეგთან მიმართებაში დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით;

ე) აქტივობების გაწერა ხორციელდება ფსიქოლოგებთან და კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის სპეციალისტთან თანამშრომლობით.

დარგობრივი ექსპერტის (კონდიტერიის მიმართულებით) თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდეს 1 ადგილზე.

კონკურსის შედეგად დარგობრივი ექსპერტის (კონდიტერიის მიმართულებით) თანამდებობაზე შერჩეულ პირთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება ცენტრის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2017 წლის 17 აპრილის ჩათვლით წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე და ამ ვადის განმავლობაში მისი შრომის ანაზღაურება განისაზღვროს 650 ლარის ოდენობით.

დარგობრივი ექსპერტის (კონდიტერიის მიმართულებით) თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატმა ცენტრის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე - info@eqe.ge აუცილებლად უნდა გამოგზავნოს:

ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ბ) ავტობიოგრაფია - (CV) ქართულ ენაზე;
გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

კონკურსი ჩატარდეს 2 ეტაპად:

ა) განცხადებების გადარჩევა;
ბ) გასაუბრება.